№ 33

16 აგვისტო

# ივერია

ფასი ერთი შაური

1909 წ.

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

[library stamp]

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Гановская ул. д. № 6. К. П. Туманову.

გაზეთი „ივერია" გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

**წლის ფასი 3 მან. წლის დალევამდი 2 მან.**

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. **თუმანიშვილი.**

## ბაღი რესტორანი „ЮЖАНЕ" (სამხრეთელები)

დვორცოვის ქუჩა, თავად-აზნაურობის თეატრთან ბაღში. ყოველ დღე დაუკრავს დილით 2—4 საათამდის და საღამოს 9—2 საათამდის თფილისის საზაფხულო თეატრის საოპერო ორკესტრი ბ-ნ პ. **ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით. სადილი ორი ბლუდიდან ღირება 60 კაპ. 3-დან 80 კ. 4-დან—1 მან. აქვე არის საჭმელების სია და პრეისკურანტი ყველანაირის საგნებისა.

ფასები ხელმისაწდომია. **შესვლა უფასოა.**

ტფილისის საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის

**ფორტეპიანოს ამწყობი**

## გ. ლ. ხარიშჩაროვი

ვორონცოვის ძეგლთან, რაზიეზჟაია ქუჩა № 11.

**მიიღება შესაკეთებლად** ყოველგვარი როიალი და პიანინო პასუხისგებლობით **იყიდება** როიალიდან და პიანინოდან მტვერის **გამოსაბერავი.** ფასი 3 მანეთი.

კახეთიმევენახეთა ამხანაგობა

## საერო

ამხანაგობის წევრთა ვენახების ღვინო ბოთლი 25 კაპ. და მეტიც.

[illegible]

**მაღაზია იმყოფება ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში**

## სანატორიუმი

ექ. ვ. დ. ღამბაშიძისა

**პატარა ცემი ბაკურიანთან.**

## Харковскіе высшіе женскіе курсы

(Вознесенская ул. № 3).

Пріемъ прошеній на 1, 2 и 3 к. к. **Историко-Филологическаго** и **Юридическаго** факультетовъ (съ 3-годичнымъ курсомъ, какъ въ Импер. Моск. Лицеѣ) производится въ канцеляріи этихъ факультетовъ (Мало Гончарская, 2).

Пріемъ прошеніи на 1, 2 и 3 к. к. **Медицинскаго Факультета** (Клиники III курса оборудованы) производится въ Канцеляріи Медицинскаго факультета (Вознесенская, № 3). Прошенія подаются на имя Завѣдующей Курсами и адресуются въ Канцелярію избраннаго факультета.

При прошеній поступающими на I курсъ представл. подлин. док.: ат. 7 кл. гимн., инст., епархіальн. или равныхъ имъ по програм. зав., метр свид. о рожд. (и брачное для замужнихъ), св. о политическ. благонад., 2 фот. и 1/2 год. плата (на медиц. фак. 200 р. въ годъ и на юридеч. и ист.-фил.—125 р. въ годъ), и почт. марки для отвѣта, иначе прошенія не разсматриваются. Для поступленія на старшіе Курсы кромѣ вышеупомянутыхъ докумен. подается еще удостовѣреніе о зачетѣ семестровъ соотвѣтств. уч. зав.

На курсахъ преподаются теоретич. и практич. (для слушательн. всѣхъ фак.) латинскій яз. и новые языки: франц., англ. и нѣмецк.

**Лицамъ Іудейскаго вѣроисповѣданія курсы права жительства не даютъ.**

## კაფე პარიზი!!

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის გზოში (Дворцовая ул.)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პირაჟოკები, ბუტერბორტები (15 კაპ. და მეტიც)

## ხაჭაპური

**ცივი და ცხელი კერძები 25 კ. და მეტი**

სასმელი წყლები

**ლუდი, სადილი**

**ფასები ხელმისაწდომია**

სისუფთავე და კარგი სამსახური

Заводск. марка

Кавказскій натуральный

Коньякъ

Д. З. Сараджевъ

О. С. (Очень Старый.)

тифлисъ № 25

იკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

## დამირავებას და გადამირავებას

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8 1/2—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

**ქართული ხალხური სიმღერები და**

## ლექსები

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ლექსები შეკრებილი და ნოტებზე დაწყობილი ი. კარგარეთელის მიერ. წიგნის ფ. 50 კ.

## ტფილისის ქართველ თავად-აზნაურთა

გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო ამით აცხადებს, რომ მომავალ საზაფხულო წლისთვის (1909—1910) ვაკანსიები იქნება პირველ განყოფილებაში, მეოთხესა და მეხუთე კლასში.

საზოგადოდ ეგზამენები დაიწყება აგვისტოს 19-ში, ხოლო პირველ განყოფილებაში—25-ში, თხოვნა და საჭირო დოკუმენტები (მეტრიკის, აცრის და ჩამომავლობის მოწმობა) წარმოდგენილ უნდა იქმნას აგვისტოს 10-თვის.

გიმნაზიის მოწაფეებმა, რომელთაც აქამდის არ შემოუტანიათ გასულ სასწავლო წლის ფული, გამოცხადებისთანავე უნდა წარმოადგინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულად ჩაითვლებიან.

ახლად შემომსვლელნი მოვალენი არიან, სწავლის ფული წარმოადგინონ მიღებისთანავე.

წლიური გადასახადი განყოფილებაში არის 30 მან., გიმნაზიურ კლასებში—40 მ. რადგან მოწაფეთათვის სავალდებულოა მთავრობის მიერ დამტკიცებული ფორმა, საპედაგოგიო საბჭო სთხოვს მოწაფეთა მშობლებს და მზრუნველებს, მობრძანდნენ გიმნაზიის კანცელარიაში და გაიცნონ ფორმა.

კანცელარია ღია იქნება ოთხშაბათობით და შაბათობით, დილის 10—12 საათზე.

**თბილისი, 16 აგვისტო.**

წარსულ ნომერში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთი ადგილობრივი გაზეთი ნამეტან დიდ ყურადღებას აქცევს შვეციის გაფიცვას და შიში გამოვთქვით, ვაი თუ ჩვენებურმა ხალხის არა მკითხე ქირისუფლებმა ჩვენებურ მუშებს უული გადაახდევინონ და ისედაც გაძვალტყავებულ ქართველების ორიოდე გროში შორს, შვეციაში გაგზავნონ.

ეს ჩვენი აზრი ეუცხოვა „ჩანგს", ეუცხოვა „დროებასაც".

რამ გააკვირვა?

ჩვენი ხალხი განა მართლაც გაძვალტყავებული არ არის? ამ გაძვალტყავებასთან ბრძოლა განა არ არის საჭირო? მასთან ბრძოლა განა გაფიცვებით არის შესაძლო და ჩვენი ხალხი შიმშილს განა იმის გამო განიცდის, რომ მას ზურგზე „კაპიტალისტ-ბურჟუები" აზიან?

[illegible] ჩვენი სიღარიბის, ჩვენი უბედურობის [illegible]ზი თუ სხვა არის, უნდა ამ მიზეზებს გამოძებნა თუ არა? და ამ მიზეზების გამოძებნას ხელს უწყობს თუ არა ცხელცხელი ამბები შვეციის გაფიცვისა და იქაურ მუშათა კლასსის გამარჯვების და დამარცხების შესახებ?

ამბობენ თითქო საერთაშორისო სოლიდარობას ჩვენ უარვყოფდეთ... არა, პირიქით ამ სოლიდარობას უარყოფენ ისინი, ვინც ხელს უწყობენ ქართველების ეხლანდელ დაბეჩავებას და ხალხს აბრმავებენ, ტკბილ ოცნებას უღვიძებენ გულში იმაზე, რასაც არ შეუძლია ამ დაბეჩავების მოსპობა.

შვეციის გაფიცვა ბევრ რასმე გვასწავლისო, დიახ გასწავლისთ, როგორ უნდა გაფიცვის მოწყობა, მაგრამ ჩვენებურ ხალხს დღეს განა გაფიცვებზე ლაპარაკი, გაფიცვებზე ოცნება სჭირია... ამ ოცნებაში ხომ შიმშილით მოკვდა მუშა, ხომ ულუკმაპუროთ დარჩა, ხომ გახდა იძულებული ქუჩაში გავიდეს არა გაფიცვისათვის, არამედ ცარცვა-გლეჯისთვის, რომ ამ საშუალებით მაინც მოიპოვოს ლუკმა პური და სიკვდილს მოშორდეს...

სტოკჰოლმსა და შვეციაში განა მარტო გაფიცვა არის ჩვენებურ მუშებისათვის საინტერესო და საჭირო? როგორ მუშაობს იქაური მუშა, რა პირობებში მუშაობს იგი, რას აკეთებს თვითონ და რას იღებს თავის გაკეთებულში,—ეს იცის ქართველმა მკითხველმა თუ არა? არ იცის, თუმცა ამისი ცოდნა აუცილებელია გაფიცვის გასაგებად.

„დროება" და „ჩანგი" უიდეალობას, უპრინციპობას გვიკიჟინებენ, რადგანაც ხალხის დღიურ ლუკმაზე ზრუნვა აუცილებელი გვგონია... ჩვენ ვამბობთ, რომ მშიერ-მწყურვალე ადამიანი სულელი უნდა იყოს, რომ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე თავი არ შეიტკივოს და იმაზედ იოცნებოს, რაც ცხრა-მთას იქეთ ხდება, რასაც მხოლოდ არა პირდაპირი გავლენა ექნება ხალხის ცხოვრებაზე, ისეც ახლა კი არა, არამედ შემდეგ, მაშინ, როდესაც ქართველების, შეიძლება, ხსენებაც არ დარჩეს...

სოც.-დემოკრატები როდესაც მუშებს გაფიცვას ურჩევენ, ეს ხომ დღიურ ლუკმა პურის საშოვნელად ხდება,—მაშ გაფიცვა თუ სათაკილო არ არის, რად უნდა ჩაითვალოს სათაკილოდ სხვა საშუალებების გამოძებნა იმავე მიზნის მისაღწევად,—ხალხის საკეთილდღეოთ?

ჩვენ ვამბობდით და ვიმეორებთ, რომ დიდ დანაშაულს ჩადიან ის გაზეთები, რომლებიც ხალხის ყურადღებას ხარჯავენ ისეთ რამეებზე, რასაც პირდაპირი კავშირი არ აქვს ჩვენს ცხოვრებასთან,—ხალხის მტრობაა იგი, ასეთი ქცევა იმ უგულო ადამიანის ქცევას გავს, რომელიც მშიერ მათხოვარს ტკბილ ხმოვან მუსიკას ასმენდა,—რაო და შემდეგ, როდესაც გამდიდრდები ესეც გამოგადგებაო.

შვეციის გაფიცვის ამბები ჩვენებურ მშიერ-მწყურვალე მუშებისათვის შეიძლება ტკბილ ხმოვანი მუსიკა იყოს, მაგრამ ეს მუსიკა კი არაა საჭირო, არამედ პური და პური... ამ პურის შოვნა ასწავლეთ მას, შემდეგ მუსიკაც აუსმატკბილეთ.

**კ. თუმანიშვილი**

## ახალი ამბები და დეპეშები

✦ ვ. ნ. [illegible] ქალაქის თავი ვ. ნ. ჩერქეზიშვილი ჩამოვიდა. ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ ჩერქეზიშვილის ავადმყოფობა მორჩენილია და საშიში არაფერი უჭირს. ორი ან სამი თვის განმავლობაში რომ მოისვენოს და ზედმეტ მუშაობას მოერიდოს სულ მორჩებაო. ჩერქეზიშვილი ქალაქის თავის თანამდებობის ასრულებას უკვე შეუდგა.

✦ **საგლეხო ბანკი.** საგლეხო ბანკი გაიხსნა ტფილისში 15 თებერვალს 1906 წ. თურმე 1909 წ. აგვისტომდის ამ ბანკს უყიდია 75 მამული, სულ 48932,6 დეს. ღირებული 2.669,434 მ. გაუყიდია 86 ნაჭერი მამული 25,293 დეს. ღირებული 1.263,527 მ. 16 კ.

✦ **ქურდობა.** 11 მარიამობისთ, ასე თორმეტ საათზე ფირა ლაზარაშვილის სახლიდან (კრასნაგორსკის ქუჩა № 25) ვიღაც ქურდ-ბაცაცებმა გაიტაცეს მრავალ წვრილმანი ნივთები: ღირებული არა ნაკლებ ათ თუმნამდი. ქურდები ვერ შეიპყრეს.

✦ **კონცერტი.** პარასკევს თბილისიდან თელავს გაემგზავრენ კონცერტის გასამართავად თ. ძნელაძე, ვ. სარაჯიშვილი, ი. აბაშიძე და ვ. ურუშაძე.

✦ **ახალი წიგნი.** გამოვიდა წიგნი, რომელსაც დიდი ხანია ელოდა საზოგადოება,—ამხ. „სორაპნის" გამოცემული. წიგნი ხელის მომწერლებს უკვე დაურიგდა. გამომცემელს ეს წიგნი ცალკე გასაყიდაც დაუბეჭდია,—მშვენიერის ყდით, დიდი ზომის, შნოიანი, სურათებიანი, წიგნი ღირს 1 მან. 35 კ. ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ეს წიგნი ყველას ესიამოვნება,—გამომცემელს მოუთავსებია შიდ სახუმარო სცენები, რომელიც არა ერთხელ გვსმენია სცენიდან და რომლის გაგონებაზე არა ერთხელ გულწრფელად გვიცინია ხოლმე. მოუთავსებია აგრეთვე ჩვენი პოეტების საუკეთესო ლექსები, სულ ორასამდე. აგრეთვე სამი დრამატიული პიესა. შიდა და შიდ ჩართულია ზოგიერთ ქართველ მწერლის და მსახიობის სურათებიც...

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ გამომცემელი ასცდენია ტენდენციობას, რომელიც შხამავს ხოლმე ლიტერატურას და რომელიც რყვნის წმინდა ხელოვნებას. წიგნში ამიტომ არ არის პოლიტიკური ლექსები, ამა თუ იმ პარტიის დამამცირებელი, ამა თუ იმ პარტიისათვის საწყენი, ახალგაზდა მწერლებთან ერთად აქ არის მოთავსებული ძველი მწერლების საუკეთესო ლექსები.

ჩვენ დროში, როდესაც ასე იშვიათია ქართულად კარგი წიგნი, ეჭვი არ უნდა იმას, რომ „სორაპნის" „ჩანგი" გავრცელდება და ყველასათვის სასიამოვნო წიგნად დარჩება.

აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის შეუწყნარებელი რეცენზია, რომელიც ამ წიგნს უძღვნა ვიღაც „შხ—ელმა" გაზ. „ჩანგში", ეს რეცენზია, კონკურენტების ვაჭრული ანგარიშებით გამოწვეული, ქართველ მწერლებისადმი მტრობით და საკუთარ ჯიბის ზედმეტის სიყვარულით აიხსნება.

✦ **ჯარში გაყვანა.** 1909 წელს რუსეთში ჯარში უნდა გაიყვანონ კენჭით სულ 456,635 კაცი. ამათში ქუთაისის გუბერნიიდან (ბათუმის ოლქით) 3562, ტფილისის გუბერნიიდან (ზაქათალის ოლქით) 3320, განჯის გუბ. 1434, ერევნის—2197, ბაქოს—410, ყარსიდან—463, თერგის ოლქიდან 681, დაღესტნიდან—75.

✦ **საზაფხულო თეატრი.** 27 აგვისტოს პ. ფალიაშვილი გამართავს ქართულ ოპერეტებს: მონაწილეობას მიიღებენ: ვ. აბაშიძე, ტ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. საფაროვი და სხ.

✦ გაქურდეს მიხეილის ქუჩაზე ნიკ. იოს. ნაცვალოვი, სოფიო ჟარნო და ევგენია მაქსიმოვიჩი.

✦ დაიჭირეს შანტაჟისტი ოქრუა გულავა.

✦ დაიჭირეს ქურდი ვალერიან შპაკოვსკი.

[illegible]

✦ პოლიციამ 44 უპასპორტო კაცი დაიჭირა.

## დამონებულ ერების ბედი

ვინ დასთვლის, რამდენი მცირე, სუსტი ერია დღეს დღეობით ძლიერ ერებისგან დამონებული, ვინ ასწერს იმ აუტანელ ტანჯვა-წვალებას, რომელსაც სხვის ხელში ჩავარდნილი ერი განიცდის. მას გულს უკლავენ, ენას გლეჯენ, ათასნაირ შეურაცხყოფას აყენებენ, ამცირებენ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სხვა ეროვნების წარმომადგენელია. სახელმწიფოში გაბატონებული ერი მისგან სრულ მორჩილებას, არარაობად გახდომას მოითხოვს, ცდილობს ხელი აალებინოს თავის ენაზე, ზნე-ჩვეულებაზე, სულზე და გულზე, დაავიწყებინოს საკუთარი არსებობა და სხვის მონა მორჩილად გახადოს.

ესეც კიდევ არაფერი, თვით ამ დამონებულ ერებში გამოდიან ზოგიერთი თავზედ ხელაღებული ვაჟბატონები,—ამ მონობას ხელს უწყობენ იმით, რომ ერს თავის ეროვნულ უფლებების დასაცველად ბრძოლას არ აცლიან და ეუბნებიან, ყველანი ძმები ვართ, ეს ბრძოლა, ეს უფლებების დაცვა სხვა ეროვნებასთან მტრობას იწვევს, ამ მტრობის შიშით ბრძოლაზედაც ხელი უნდა ავიღოთო.

ამას ამბობენ და ხშირად გამგონიც ყავთ: უცოდინარი, უვიცი, დაბრმავებული ხალხი ფიქრობს, რომ ეს არა მკითხე ვაჟბატონები მართალს ეუბნებიან, ფიქრობს, რომ სხვაგანაც დამონებული ერი გაჩუმებულია და ხმის ამოღებას ვერ ბედავს, რომ სხვაგანაც ასეთივე სილარჩით ითმენს შევიწროვებული, სხვის ხელში მკვნესარე ერი იმას, რასაც მის ზურგზე შემდგარი, გაბატონებული ეროვნება მისგან მოითხოვს...

მაგრამ არა! სხვაგან არ არის ერი გაჩუმებული, სხვაგან ყოველი მონა ცდილობს განთავისუფლებას, სხვაგან ყოველ მონობის მოსპობას ცდილობენ, სულ ერთია, იქმნება ეს მონობა კერძო თუ საზოგადო, პირადი თუ ეროვნული!..

ეს ბრძოლა თავისუფლების, ეროვნული თანასწორობის დასამყარებლად ჯერ დაქსასულია, დამონებული ერები სხვა და სხვა ქვეყანაში განკერძოებით ებრძოდენ თავიანთ დამჩაგვრელს, არ იყო მათი შეერთებული ძალა და ამიტომ თვით ძალაც საკმარისად ძლიერი არ იყო.

ამ გაერთიანების საჭიროება ხალხმა თანდათან შეიგნო, ამიტომ ცდილობენ გაერთიანებას.

გაერთიანების პირველი ბიჯი ის იყო, რომ ესა თუ ის ეროვნება თავის სახელმწიფოს საზღვარს სცილდებოდა და ცდილობდა ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოს ყურადღება მიექცია იმ სავალალო, დამამცირებელ მდგომარეობისთვის, რომელშიაც იგი ჩავარდნილი იყო,—უნდოდათ ევროპის ხალხთა დახმარებით გაემჯობესებიათ თავიანთი მდგომარეობა.

ამნაირად მიმართეს ევროპას ბოსნია-ჰერცოგოვინამ, უნგრეთის სერბებმა, ფინლიანდელებმა ბობრიკოვის დროს, შლეზვიგ-ჰოლშტეინის დანიელებმა, პოზნანის პოლონელებმა, პოლონეთის გალიციის რუსებმა, უნგრეთის რუმინელებმა, რუმინიის ებრაელებმა და დობრუჯელებმა, სომხებმა და სხ. და სხ.

ეს მიმართვა უმეტეს ნაწილად პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული ყოფილა იმიტომ, რომ არ იყო ისეთი დაწესებულება, რომელსაც შეძლებოდა ყური ეგდო ამ საქმისთვის და დამონებულთა ღაღადისთვის ქომაგობა გაეწია.

ჰააგაში საერთაშორისო სასამართლოს დაარსება ამ საქმისათვის არ ვარგა. ამ სასამართლოში საქმის გასარჩევათ საჭიროა ორივე მხარესი თანხმობა, ამას გარდა ხსენებულ სასამართლოში მისვლა შეუძლია სახელმწიფოს და არა ერს, ამიტომ სხვის სახელმწიფოში მომწყვდეულ ერს აქ მისავალი გზა არა აქვს.

სწორედ ასეთ ერებისთვის კი იყო განსაკუთრებით საჭირო ხსენებული სასამართლო და სამართალი!..

დღეს სახელმწიფოში გაბატონებულ ერს შეუძლია ათასნაირად შეავიწროვოს მის ხელში ჩავარდნილი მცირე ერები, —ამათ საშუალება არა აქვთ კანონიერის გზით დაიცვან თავიანთი თავი და აი სწორედ ამიტომ საფრანგეთის და ინგლისის რამდენიმე ცნობილმა მწერალმა და მეცნიერმა გადაწყვიტა მოაწყონ ეროვნულ უფლებათა დამცველი კომიტეტი, რომელმაც დაჩაგრულ ერთა ქომაგობა უნდა იკისროს...

ამ საქმეს მეთაურობენ სენიობისი, ლუი ავე, ლუი რენო, ჟიდი, ივ გიუიო, ლიონ-კან და სხვებიც.

საფრანგეთის დიდ რევოლუციის დროს გამოცხადებული იყო ადამიანის და მოქალაქეს ძირითადი უფლებები, რომელიც ყოველ სახელმწიფოში ხელშეუხლებელი უნდა დარჩენილიყო. ახლა დროა გამოირკვეს და გამოცხადდეს ერების ძირითადი უფლებები, ის უფლებები, რომელიც ყველასთვის ხელუხლებელი უნდა რჩებოდეს... ამ უფლებების გარკვევას და გამოცხადებას იკისრებს ახალი კომიტეტი. ეს კომიტეტი თვალყურს ადევნებს ყველა სახელმწიფოს შინაურ ცხოვრებას და ხმას აიმაღლებს ყოველთვის, როდესაც სადმე ეროვნულ დაჩაგვრას შეამჩნევს, ეს კომიტეტი პროტესტს გამოაცხადებს ყოველთვის, როდესაც ესა თუ ის მთავრობა, თავის ეროვნულ ძალმომრეობის გასამართლებლად ევროპის რომელიმე გაზეთით ეცდება საზოგადოების მოტყუილებას... კომიტეტი იქმნება ცენტრი, რომელიც მეთაურობას გაუწევს ყოველ ეროვნულ ბრძოლას, ყოველ ეროვნულ მისწრაფებას იქ, სადაც ძლიერი ერი სჩაგრავს სუსტს ერებს და სადაც ამ სუსტ ერს არ შესწევს საკმარისი საკუთარი ძალა იმისთვის, რომ სხვის დაუხმარებლად მოიპოვოს ეროვნული თანასწორობა.

ამ კომიტეტის დაარსებას და მოქმედებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ყოველმა დაჩაგრულ ერის შვილმა, რომელითაც უნდა მოისპოს მისი ერის დამამცირებელი ეროვნული ძალმომრეობა.

ნ. ნ.

## ჩემი დღიური

სევერიან ჯუღელი დაასაფლავეს, დაასაფლავეს ადამიანი, რომელიც თავის სიცოცხლეში თავდავიწყებით ემსახურებოდა ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიას და მისი სახელით ყველა ქვეყნის პროლეტარებს შეერთებისკენ იწვევდა. სევერიან ჯუღელი ერთი მეთაურთაგანი იყო იმ მოძღვრებისა, რომელმაც ჩვენში ეროვნულ იდეალებთან ბრძოლით სახელი გაითქვა, რომელიც ქართველებში ეროვნულ შეგნების მოსასპობად შრომასა და მეცადინეობას არასოდეს არ ზოგავდა (?), რას გვიქვია ეროვნული მიმართულებაო, — ამბობდენ ეს მეთაურები, ქართველმა რად უნდა შეიწუხოს თავი ქართველების ეროვნულ შევიწროვების მოსასპობად, მთელი ჩვენი სული და გული უნდა შევწიროთ სრულიად რუსეთის ს.-დემოკრატიის გამარჯვებას, რათა შეიცვალოს მთელი რუსეთის წესწყობილება და მაშინ, უკეთესად მოწყობილ სახელმწიფოში, ჩვენც სხვებთან ერთად მოგვენიჭება მოქალაქეს უფლებებიო...

ვის არ ახსოვს ამ „მეთაურების“ გაშმაგება ყოველთვის, როდესაც ვინმე იტყოდა, რომ ეს ქადაგება მავნებელია ქართველებისთვის, რადგანაც ამ ქადაგებას არ ისმენს არც რუსი მუშა, არც სომეხი მუშა, არც სხვა რომელიმე მუშა, გარდა ქართველებისა და ყოველი სხვა ეროვნების მუშა საჭიროების დროს ადვილადივიწყებს ერთა სოლიდარობის და ქართველების ეკონომიურ დაჩაგვრას არ ერიდება...

„ივერიის“ პირველ ნომრებში მოხსენებული იყო, სხვათა შორის, რომ სხვა ტომის მუშა ქართველ მუშის ადგილს იჭერს და ამით ლუკმა პურსართმევს ქართველებს, რომ სხვა ერის გლეხი მოდის ჩვენს ქვეყანაში და ისედაც უმიწაწყლობითაშეწუხებულ ქართველ სოფლელს მიწას ართმევს და ამ მიწაზე სახლდება.

იმ დროს „ივერიის“ ამ სიტყვებმა მითქმა-მოთქმა გამოიწვიეს ჩვენებურ ს.-დემოკრატებში და ზოგიერთი, როგორც განსვენებული ჯუღელი, „ივერიას“ უკიჟინებდა—თქვენი აზრი შემცდარი არისო, სხვა და სხვა ერის მუშათა კლასსის სოლიდარობა დღესაც ძლიერი არისო...

ამ სოლიდარობის მქადაგებელი დაასაფლავეს კვირას, 10 ამ თვეს, ათასობით მიჰყვებოდა მას ხალხი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველა გულწრფელის მწუხარებით ეთხოვებოდა მუშათა კლასსის მებაირახტრეს, ყველას უნდოდა ცხედარის გამოსვენებაზე დასწრებით დაემტკიცებია თავისი მისდამი პატივისცემა...

ჩვენც დავესწარით ხსენებულ გამოსვენებას და გამოტეხილი უნდა ვსთქვათ,— გაგვახსენდა ძველი პოლემიკა, გაგვახსენდა ძველი პოლემიკა, გაგვახსენდა ის, რასაც განსვენებული ჯუღელი და მისი ამხანაგები სწერდენ და ამბობდენ ერთა სოლიდარობის შესახებ..., გაგვახსენდა იმიტომ, რომ ათასობით შეგროვილ ხალხში სულ თითო, ორორა რუსი და თითო ორორა სომეხი თუ ვნახეთ,—ყველა მოხუცი და ახალგაზრდა, ქართველი მუშა, ქართველი ინტელიგენტი, ქართველი ქაბუკი და ქართველი მოხუცი,— ქართველების ზღვა მოდიოდა ქუჩებში... გარეშეს რომ ენახა, იფიქრებდა ქართველობა თავის ეროვნების დამცველს ეროვნულ იდეალებით გატაცებულ მებრძოლს ასაფლავებსო. ეს დასაფლავება ინტერნაციონალის და საერთაშორისო პროლეტარიატის მებაირახტრის დასაფლავება კი არ იყო, დასაფლავება, სადაც ყველა ერის პროლეტარები და ყველა ერის მუშები უნდა შეგროვილიყვენ ბელადის პატივის საცემად, არამედ ეს იყო ქართველების ეროვნული საქმე, აქ ქართველები ქართველ მოღვაწეს ასაფლავებდენ. არა ქართველი მუშები, არა ქართველი მშრომელი ელემენტები აქ არ გამოჩენილან, აქ არ დასწრებით მათ ნათლად დაამტკიცეს, რომ ჭირში და ლხინში ერთნაირად არ ესმისთ ძმობა, რომ ერთად მუშაობა და ბრძოლა სურთ მხოლოდ მანამდის და იქ, სანამდისაც და სადაც ეს ერთად მუშაობა და ბრძოლა მათთვის კერძოდ სასარგებლოა.

ჩვენ სრულებით არ გვინდა დავამციროთ სხვა ერის მუშები, პირ იქით მათი ასეთი ქცევა ბუნებრივი გვგონია, ეს ქცევა უფრო სწორია, ვიდრე ის გზა, რომელზედაც ქართველებს აყენებდა განსვენებული ჯუღელი, რომელზედაც დგებიან ხოლმე ჩვენებური სოც.-დემოკრატები, ის გზა, რომელმაც ქართველები ეხლანდელ უბედურ მდგომარეობამდის მიიყვანა...

აბა წარმოიდგინეთ ვინმე გამოჩენილი სომეხი ან რუსი ს.-დემოკრატი რომ მომკვდარიყო ტფილისში, რას იზამდენ ქართველი მუშები და ქართველი სოც.-დემოკრატები! პირველ რიგში ჩამწკრივდებოდნენ, პირველ „მორეჩებათ“ გამოვიდოდენ, უდიდეს მწუხარებას გამოიჩენდენ, რაო და საერთაშორისო სოლიდარობა გვავალებს შინაური და უცხო ყველა შინაურად ვიცნოთ და ერთმანეთში არ გავარჩიოთო...

ასე არ იქცევიან სხვები და მით მოგებული რჩებიან... მოგებული დარჩებოდენ ყოველთვის ქართველი მუშებიც, რომ ხშირ ხშირად უფიქრდებოდენ ხოლმე ამას, რასაც მას „მეთაურ-ლიტერატორები“ ეუბნებიან...

ახლაც, როდესაც განსვენებულ სევერიან ჯუღელის ცხედარს ქართველ ეროვნების მუშები ქუჩა ქუჩა მიყვებოდენ საფლავამდის, ამით მის ხსოვნას უკანასკნელად პატივისცემა გამოუცხადეს. სანატრელია, რომ ... ხსოვნამ საფლავამ მაინც გაასწოროს ის შეცდომა, რომელიც ცოცხალის კალმამა და სიტყვამ მრავალ ქართველ მუშის გულსა და გონებაში დათესა...

მეთვალყურე

## მტრედი და ყორანი

წარდგნის ყმისა

(ბერანჟე)

**ყორანი**

მტრედო, სადა გაქვს თავშესაფარი?

**მტრედი**

მინდა ვახარო ნოესა, რომა
წარღვნა გათავდა გულშემაზარი.
წამო, შენც ჩემთან მიიღე შრომა.

**ყორანი**

არა, მე ვხედავ—გამოიდარა,
წყალმა დაიკლო, მიდამო ჰშრება,
კაცისა მძორი ბლომად იქნება...
და შავ ყორანმა გადიხარხარა.

**მტრედი**

წამო, ნოესა გამოვეუცხადოთ,
რომ მიწამ თავი უკვე იჩინა,
მადლობა ამით გადავუხადოთ,
იმან ხომ სიკვდილს გადაგვარჩინა.

**ყორანი**

ჰო,—რომ სულ გვჭამოს დიდი, პატარა,
რომ ჰქონდეს მუდამ საკვები მზადა;
და შავ ყორანმა გადიხარხარა.

**მტრედი**

კაცი, თანახმად ღვთისა ნებისა,
ჰმეფობს—მისია სუყველაფერი.

**ყორანი**

არა მგონია! თუ ბუნებისა
იგი გამოდის ყოველთვის მტერი.
მაგრამ კიდობანს იმისაც ჩქარა
წაიღებს, შთანთქამს ტალღისა დინა;
აი, ის მიდის უფსკრულისკენა...
და შავ ყორანმა გადიხარხარა.

**მტრედი**

არა, ღმერთია მისი მფარველი,
გაჰხედე, ზღვასა არ უკლო განა?
ჰკრთის ცისარტყელა, შვების მეტყველი,
და იბადება ახლად ქვეყანა.

**ყორანი**

ახალ ქვეყანაც წახდება ჩქარა,
თუ კაცი კვალად დაეპატრონა;
კაცისა ხელში მაშ რა გეგონა?..
და შავ ყორანმა გადიხარხარა.

**მტრედი**

შენ, გულთმისანო ტანჯვის და ჭირის,
ჰხედავ ყველაფერს და გეცინება,
მე კი, თუ ვინმე კვნესის და ტირის,
ჩემი სიცოცხლეც არ მენანება.
მე არ დაგწყევლი... მშვიდობით, კმარა.
მე სიყვარულსა ვემსახურები.

**ყორანი**

ბევრია შენებრ უბედურები...
და შავ ყორანმა გადიხარხარა.

---

# ფელეტონი

# „წკიპურტი“

№ 12 გასართობი გაზეთი № 12

### მკვდარი დრო

**კაი სურვილები ოქროს ახალგაზდობას.** ვინ არ იცის, რომ ყოველი ქვეყნის ნუგეში ახალგაზდობაა, მომავალი თაობა... და ჩვენს ქვეყანასაც ჰყავს ასეთი მანუგეშებელი, ცოცხალი ძარღვი...

ჩვენი სტუდენტობა, —სტიპენდიანტები და არა სტიპენდიანტები, უმამონი და მამობილიანნი...

შემოდგომა მოგვიახლოვდა და ჩვენი ქვეყნის ეს მომავალი „პური არსებობისა“ ჩრდილოეთისკენ გაემართება მომავალ ცხოვრებაში საბრძოლველი იარაღის შესაძენად...

ჩვენი მოვალეობაა გზა დავულოცოთ...

წადით შვილებო! გფარვიდეთ წმინდა ბახუსი, მონოპოლისა და რუსული ლუდის ღმერთი...

არ გაბრიყვდეთ და სამეცნიერო ნიშნები, ან პროფესორთა ლექციებს არ დაეწაფოთ... თავი აგტკივათ, და თავ ატკივებული ვისთვის რა საჭიროა?..

დილით მონოპოლკა ილოცეთ და კარტის თამაში დაიწყეთ, შუადღისას ბახუსი ახსენეთ და ნარდი დაიწყეთ, საღამოთი ლუდის ღმერთა და ბილიარდი გაავორეთ!..

ერთს წელს არც კი გაითვალისწინოთ, რომ ჩვენი ღარიბი ქვეყანა უკანასკნელ გროშებს გაძლევთ სასწავლებლად, რომ გამოგვადგეთ მასწავლებლად!

ნურც კი იგულისხმებთ, რომ ჩვენს ქვეყანას მრავალი ჭრილობა აქვს და სისხლი სდის: უკან მიდის თეატრი, დაეცა მწიგნობრობა, განადგურდა გლეხკაცობა, დაიღუპა მამული, ხალხი სულიერად გათახსირების გზას ადგია..

თქვენ ეს არც კი წარმოიდგინოთ: სვით, იმხიარულეთ, იკარტოჟნიკეთ, მათუშკებთან იბღლარძუნეთ, რასაკვირველია, სტიპენდიის იმედით და... სწავლის გათავების შემდეგ არამცა და არამც ეს სტიპენდია არ დაუბრუნოთ საზოგადოებას... დაივიწყე თქვენი აღმზდელ-მშობელი ხალხი, შეაპარეთ თავი რომელიმე „უჩრეჟდენიაში“, რომ ბოლოს ბობოლად იქცეთ...

მეორე, მესამე კურსებო! ღმერთი არ გაგიწყრეთ და ახლად ჩამოსული სტუდენტები თქვენს გზას არ ააცდინოთ: ვინც კაი ეგზამენი არ დაიჭიროს ლოთობასა, კარტოჟნიკობასა და ბილიარდობის თამაში—განდევნეთ...

ამხანაგურად იცხოვრეთ ასე „ბრწყინვალედ“ განვლეთ დღენი თქვენის ცხოვრებისა...

### სასცენო კუპლეტები

—

ვინ სთქვა, ვითომც გამქრალიყოს
სიტყვისა და რწმენის ნება,
თავისუფლად არ შეგვეძლოს
ყოველ აზრის მოხსენება,
და სრულიად დამშრალიყოს
ხალხთა კვნესა, ტანჯვა, სნება,—
ვერა ხედავთ, ვით გვბეგრავენ,
თავისუფლად რომ გვტყეპავენ!..

—

ვინ სთქვა ნეტავ თავისუფალ
კრების ნებას არ გვაძლევენ,
ჩვენს ჭორსა და ვარმებზედა
საუბარსა გვიკრძალავენ,
მართლ-მსჯელობას, მოქმედებას
სამართლიანს არა სცნობენ,—
ვერა ხედავთ ყოველგან ჩვენ,
თავისუფლად... რომ გვტყეპავენ...

—

ვინ სთქვა, ვითომ ჩვენს ვაებას
არავინ ყურს არ უგდებდეს;
ხალხის ბოლმა ბატონებსა
არ ესმოდე', არ სწვდებოდეს
და დევნულთა მოციქულებს
თვითონ უკეთ არ ულხენდეს,
ნახეთ რავდენს ამგზავრებენ
ცივ ქვეყნისკენ და... გვტყეპავენ!..

—

ვინ სთქვა, ნეტავ განათლების
არ გვიხილავს სინათლეო,
თავისუფლად მსჯელობა გვწამს,
ერთად ერთი სიმართლეო,
ქვენა გრძნობა დაგვითურგნავს
გვალხენს აზრის სიმაღლეო,—
ვერა ხედავთ, ვით გვწიხლავენ
თავისუფლად და... გვტყეპავენ!..

**იზიძე**

### ს ი მ ღ ე რ ა

—

ვერვინ აღმოფხვრის ამ ჩემს გულიდან
შენს სპეტაკ სახეს,—მთვარეს გაბადრულს,
ვერ გამითელავენ ბუჩქს ყვავილოვანს,
ვერვინ მომისპობს შენსა სიყვარულს.
თუ გინდ შეინძრეს მთელი სამყარო
გულს ჩამაწვეთონ შხამი—სამსალა,
მორთონ ხარხარი დემონიური,
მჯიჯგნონ ყორნებმა მომაკლდეს ძალა,—
წარბს არ შევიხრი... არ შევშინდები..
ჩემო იმედო და უკვდავება,
თუ გინდ ვკვდებოდე, კვლავ ამას ვიტყვი:
„მიყვარს, მიყვარდა და მეყვარება!“
ვერვინ აღმოფხვრის ამ ჩემს გულიდან
შენს სპეტაკ სახეს,—მთვარეს გაბადრულს,
ვერვინ შეარყევს ჩემსა იდეალს,
ვერვინ მომიკლავს შენსა სიყვარულს!

**ი. გრიშაშვილი**

### † ე რ თ ო ბ ა

(ნეკროლოგი)

ჩაესვენა მსოფლიო მანათებელი, ღრუბლებს მიეფარა მაშვრალთა ნუგეში!..

არ არის დიდი ხანი, რაც გარდაიცვალა ნეტარხსენებული ერთობა...

ის ჯერ სულ ახალგაზდა იყო, როდესაც მზე დაუბნელეს...

და თავის ხანმოკლე სიცოცხლის დროს საარაკო მთლიანობა გამოიჩინა...

დააფრთხო მსოფლიოს ბაყბაყ დევნი, ალქაჯნი, ბნელეთის მოციქულნი...

გაშოლტა უკუღმართობის ქურუმნი...

ალაგმა სოფლის მევახშენი და სხვისი ოფლით მცხოვრებნი; მოსპო და მოსრა ქურდ-ავაზაკნი, შეაჩვენა მუქთა ხორა ვაჟბატონები და შიშის ზარი დასცა სისხლის მწოველ ჯალათ-მტარვალებს.

უღელი შეუმსუბუქა ქალაქის მუშას, გარიჟრაჟიდან შუაღამემდე უროს რომ ატრიალებდა მთელი ქვეყნის სიმდიდრეს რომ ჰქმნიდა...

და მოისურვა ხალხთა შორის ძმობისა, თანასწორობისა და სიყვარულის განმტკიცება...

და ასრედ მომქმედი ჭაბუკი, ხალხის უფლებათა დევგმირი გარდაიცვალა...

კვალად სიბნელემ მოიცვა არე, წყვდიადი გამეფდა, ალქაჯებმა ფერხული გააბეს, სოფლის ჭამიებმა ფრთები შეისხეს, ჯაშუშებმა ენა ამოიდგეს, ბრალიანი და უბრალო შორს ქვეყნისკენ გაამგზავრეს, მოციქულნი ჯვარს აცვეს, ძმამ ძმა აღარ დაინდო...

გარდაიცვალა ერთობა შინაგანის სნეულებით... ქირისუფალთა დაუდევრობით...

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ნეტარ ხსენებულო ერთობა...

**ჭიტა**

### ე ქ ს პ რ ო მ ტ ი

(მარუსა—კ—ს)

„გზა დიდი გაქვსო“, — გახსოვს რომ მითხარ?!.
სჩანს არ გიყვარვარ, სხვას მანაცვალე...
რა გაეწყობა?.. ჩემო სულის დგმავ!
მადლობელი ვარ... შენ გენაცვალე!..

**ტიმოთეს ლეღვი**

### ლუარსაბის მემკვიდრენი

(მოთხრობა)

**თავი პირველი**

მართალია, ლუარსაბ თათქარიძესა და მისს ფაშფაშა კნეინა დარეჯანს შვილი არ უჩნდებოდათ, მაგრამ რაღაცა მანქანებით მემკვიდრენი დარჩათ, მერე რა მემკვიდრენი!..

**თავი მეორე.**

ლუარსაბი თუ ძველებური ქართული ჩოხა ახალუხით და წინდა პაჭიჭით გახლდათ მორთული, ლუარსაბის მემკვიდრე „კრახმალიანი“ პერანგსა და „სერთუჩნი პარაშია“ გამოწყობილი „ლაკიროვანი“ პოლსაპოჟკებით. მოვლილი აქვს საშუალო სკოლა და უმაღლესს სასწავლებელსაც დასუნა, ხელში დიპლომი უჭირავს, მაგრამ თავის მამულის გაკეთება იმდენადვე იცის, რამდენათაც მისმა წინაპარმა ნეტარხსენებულმა ლუარსაბმა...

**თავი მესამე.**

კნ დარეჯანის მოადგილე-მემკვიდრენი—კი ვერც იმოდენა ცოდნას დაიკვეხებენ, რაც კნ. დარეჯანმა იცოდა კარაბადინიდან. ეს კი იყო, რომ დარეჯანს თუ ქართული ჩიხტაკოპი, სარტყელ-გული' პირი და ქულაჯა ამშვენებდა, მის მემკვიდრეთ კოსა, ჩამოფარებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მტრედი**

ავ-გულო, შენი სიძულვილისა
სიტყვა მწველია და შხამიანი;
მე კი შტო მიმაქვს ზეთის ხილისა,
რომ გავახარო ადამიანი.

**ყორანი**

იგი იქნება, ის შტო პატარა,
შენი შამფური... თავს ნუ იღუპამ.
ჰნახამ, რა გიყოს ეშმაკის ტყუპამ..
და შავ ყორანმა გადიხარხარბ.

**გიორგი გვაზა_ა**

# სადღეისოდ

**ქართული თეატრი და მომავალი სეზონი.**

მოახლოვდა ზამთრის სეზონი, თითქმის ყველა თეატრია უკვე დაჭერილი: ზოგან ოპერა იქნება ამ ზამთარს, ზოგან კი—დრამა. გაზეთებიდან უკვე ამოიკითხავდით, სახაზინო თეატრში მშვენიერი ოპერა იქნებაო, რადგანაც ეიხენვალდს ამ სეზონისათვის კარგი ძალები მოუწვევიაო. არ ვიცით, რას აკეთებს რუსული დრამის ანტრეპრენიორი ქალი ფითოევისა—ბელეცკაია, მხოლოდ ის კი ცხადია, რომ არც იგი იჯდება გულ-ხელ დაკრეფილი. ყველგან სამზადისია. არაფერი ისმის რა მხოლოდ ქართული წარმოდგენებისა. ქართული დრამატიული საზოგადოება სდუმს: ჯერ არც დასი შეუდგენია, არც რეპერტუარი. რატომ? ნუ თუ ეს დაწესებულებაც ისევე უღღეური და უსიცოცხლო არის, როგორც არა ერთი სხვა ჩვენი დაწესებულება?..

თეატრი ყველგან ერთ-ერთ კულტურულ და განმანათლებელ დაწესებულებადაა ცნობილი. სკოლასთან, მწერლობასთან მას თითქმის თანასწორი ადგილი უკავია. წმიდა ხელოვნების ტაძარი ხომ ყველასათვის სანატრელია! ჩვენთვის, ქართველებისათვის ქართული თეატრი უფრო საჭირო და აუცილებელი საჭიროებაა. ჩვენ თითქმის ყველგან გვდევნიან. ჩვენი ენა „ძაღლურ“ ენად არის წოდებული. ჩვენი განმანათლებელი და კულტურული დაწესებულებათა მოქმედება შეხუთულია, ვიწრო კალაპოტშია ჩაყენებული. დაგვრჩენია მხოლოდ თეატრი, რომელსაც შეუძლია სულიერად აამაღლოს, გაათაქიზოს თავისი აუდიტორია. ჩვენ მხოლოდ აქ შეგვიძლია თავისუფლად ამოვისუნთქოთ. აქ უნდა ვსტკბებოდეთ ხელოვნების ნაწარმოებით და ხელოვნური თამაშით და ამავე დროს ცხოვრების ავ-კარგიანობას, ცხოვრებისაგან წამოყენებულ სხვა და სხვა კითხვებს უნდა ვსწავლობდეთ, ვინაიდან თეატრი და ცხოვრების სარკე—სინონიმები არის.

ყოველივე ამას წმინდა, ფაქიზი ქართული ენით უნდა გვასწავლიდენ. თეატრში უნდა გვესმოდეს ხელ-შეუხებელ თეატრის მისია ამ დასახული მიზნების განხორციელებაში მეტად თვალსაჩინო და პატივსადებია. ყოველ ეჭვს გარეშეა, ქართულმა თეატრმა უნდა აასრულოს თავისი მოწოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არარად გადაიქცევა, დაკარგავს თავის მნიშვნელობას, ვითომ მეტ ბარგად გახდება და, როგორც ასეთი, ერთ მშვენიერ დღეს სრულიად შესწყვეტს თავის მოქმედებას: ჩვენში გამეფებულ ინდიფერენტიზმის და თეატრის ასეთის მოქმედების ულმობელი შედეგი სწორედ ეს იქნება. წარსული სეზონი მშვენიერი დამასურათხატებელია ჩვენ მიერ გამოთქმულ შეხედულებისა

წარსული სეზონი დამარცხებით დასრულდა. მთელი სეზონის განმავლობაში ჩვენ არ გვახსოვს ორი წარმოდგენა, რომ საზოგადოებაც ბევრი დასწრებოდეს და მსახიობთაც ღირსეულად შეესრულებიათ თავისი მოწოდება. წარსული სეზონი სრულიად უფერული და საზარელი აღმოჩნდა. ვინ არის მერე დამნაშავე ამაში? საზოგადოება თუ მსახიობები?.. ჩვენ ვგონებთ, უფრო მეტი დანაშაული მსახიობთ მიუძღვის.

ხალხს რომ წარმოდგენები სწყურია, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა, რადგანაც სახალხო სახლი ყოველთვის სავსეა ხოლმე, როდესაც სახალხო წარმოდგენების მმართველი სექცია მართავს წარმოდგენებს. ხალხი მეტად გულ-დასმენით უყურებს სცენის მოყვარეთა თამაშს. მოქმედების დასრულებისას ფოიეში ხშირად შეხვდებით პატარა ჯგუფებს, სადაც კამათია პიესაში წამოყენებულ კითხვებზე ან მომქმედ პირზე, ასეთი დამოკიდებულება მსმენელებსა და მოთამაშეთა შორის მხოლოდ ერთსა მოწმობს: ხალხს შეუძლია დაფასება ამა თუ იმ ნაწარმოებისა. მასას სურს ყოველივე ის, რაც მას აწუხებს ან ახარებს, დაინახოს სცენიდან, და როდესაც ამას ხედავს, მის აღტაცებას დასასრული არა აქვს. ჩვენ მიერ აღებული მაგალითი ნათელ ყოფს იმ აზრს, რომ თეატრის მოთხოვნილება ჩვენში არსებობს, და მეორე მხრით,—იმასაც, რომ მარტოოდენ სახალხო წარმოდგენებს შეუძლია ქართული თეატრის საქმეების გამობრუნება. ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ არისტოკრატია, რომელიც უსაქმურობის თავიდან ასაცილებლად დადის ქართულ წარმოდგენებზე, ვერ იხსნის თეატრს დაღუპვისაგან... იგი ძლიერ სუსტია ამ საქმისათვის!..

მაშ რატომ ქართულ თეატრში არ დადის ხალხი? რათ გაურბის იგი აქ გამართულ წარმოდგენებს? თქმა აღარ უნდა, არის ერთი ადგილი, სადაც ძაღლის თავია დამარხული. და ჩვენ მსახიობთაც ამ მხრივ მიუძღვით დანაშაული: იგინი თითქო სრულიად არ ცდილობენ ამ ადგილის თავიდან აცილებას ან და გამოაშკარავებას.

თეატრი წმინდა ტაძარია ხელოვნებისა. იგი ყოველგვარ კინკლაობას, შენჩემობაზე მაღლა უნდა იდგეს,—სპეტაკი, უმწიკვლო, შეუბღალავი... ვინც ხელოვნებას ემსახურება, იგი კრძალვით უნდა შედიოდეს ამ ტაძარში, ვინაიდან თეატრი და კაფე-შანტანი მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ხელოვნების ტაძარში შემსვლელი სრულიად უნდა ივიწყებდეს პირად შურს ან უსიამოვნებას, და მხოლოდ მაშინ შეუძლია მსახიობს ღირსეული ადგილი დაიჭიროს, როგორც საზოგადოებაში, ისე სცენაზე. პროტექცია, როგორც ყოველგან, ისე სცენაზე,—მით უმეტეს სცენაზე,—ყოვლად შეუწყნარებელია. იგი მხოლოდ ვნებას მოუტანს სცენას, რომელიც მხოლოდ ხელოვნების ტაძარია და არა საწველი ფური ან საქველ-მოქმედო საზოგადოება...

ასეთი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, თეატრი და მისი მუშაკნი. ჩვენ არას ვამბობთ მსახიობის ინტელიგენტობაზე. ეს ისეთი საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ ამ მოთხოვნილების გამეორება სრულიად უადგილო იქნებოდა.

მაგრამ სულ სხვაა „უნდა იყოს“ და სულ სხვაა „არის“. სცენაზე გამეფებულს ინტრიგებს დასასრული არ უჩანს. ერთი ერთმანეთის გათათხვა-გაწბილებას ერთნაირის გულმოდგინებით შესდგომიან ძველი და ახალგაზრდა მსახიობები. ვიცი, ბევრი მათგანი წყრომით შემომხედავს, მაგრამ სიმართლე გაცილებით ძვირფასი მეგობარია. თუ არ ამ ინტრიგებით, მაშ სხვა რითი აიხსნება ის წერილები, რომელიც „დროება“-ში დასტამბა „შინაურმა“?.. „შინაური“, ეტყობა, კარგად იცნობს კულისების შინაურ საქმეებს, რომელთაც ხშირად ესაჭიროება გამომზეურება: ამას ითხოვს საქმის კეთილდღეობა და საქმისადმი სიყვარული.

მოსპეთ, ბატონებო, ეს შური, უშინაარსო, უმართებულო ქიშპობა და მიკერძოება! მეტი პატივისცემით მოეპყარით ერთმანერთს,—და მაშინ, მხოლოდ მაშინ იგემებთ გამარჯვების ტკბილს ნაყოფს... ამისათვის მეტი ინტელიგენტობა არის საჭირო, და ამ ინტელიგენტობის შეძენა აუცილებელია სწორედ მსახიობისათვის... მსახიობი ხომ სახალხო მასწავლებელია ამავე დროს!?.. მოეცით მაყურებელს გონების სავარჯიშებელი მასალა, აუხსენით მას ის კითხვები, რომელნიც, შეიძლება, მოსვენებას არ აძლევენ მას!.. გააცნეთ ხალხს სხვა და სხვა მწერალთა შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, სცენა სკოლათ გარდაქმენით,—თანამედროვე სასწავლებლად,—და მაშინ ადგილი აღარ ექნება იმ გულგრილობას, რომელსაც ამ ჟამად ვატყობთ საზოგადოებას. მარტო „სამშობლოთი“ ან „ღალატით“ ფონს გასვლა შეუძლებელია. „ადვოკატი მელაძის„ ან „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდენ“—ის მაგვარმა პიესებმა თავისი დრო განვლეს: იგინი აღარც გულს ეუბნებიან ახალს სიტყვას და არც გონებას... და რაღა გასაკვირველია, თუ ხალხი არ ესწრება ისეთ წარმოდგენებს, სადაც იგი ვერც დატკბება და ვერც რასმე შეიძენს.

ბევრი რამ ესაჭიროება ქართულ თეატრს. მარტოოდენ ძირითადი რეფორმა დააყენებს ჩვენს სცენას ღირსეულ ნიადაგზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ძალა-უნებურად ოცნების სამყაროში შევცურდებოდით. საოცნებოთ ჩვენ არა გვცალია. ამ მცირე წერილში ჩვენ აღვნუსხეთ მარტო ის, რაც დღეს-დღეობით შეიძლება გაკეთდეს, რის მიღწევა არც ძლიერ საძნელოა, თუ ამ საქმეში დაინტერესებული პირები მოისურვებენ გულწრფელად მუშაობას. ჩამოთვლილი პირობების განსახორციელებლად სრულიადაც არ არის საჭირო რუსეთში გამგზავრება ან გაგზავნა ვისიმე. ჩემ მიერ მოყვანილი პირობები ისე მარტივია, რომ ყოველი ინტელიგენტი ადამიანი შესძლებს მის ასრულებას... მაგრამ ვაი თუ ჩვენ მსახიობებს სწორედ ის აკლდეთ?!.. მე მეშინია კიდეც ამაზე ფიქრისა...

ასეა თუ ისე, დრამატიული საზოგადოების მოვალეობაა ეხლავე შეუდგეს სამზადისს, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ არის. მან უნდა მოიწვიოს გულწრფელი, სცენასთან და ხელოვნებასთან გაცნობილი, სცენის სამსახურისთვის მოწოდებული პირი რეჟისორად და მასთან ერთად შეიმუშავოს მომავალი სეზონისათვის რეპერტუარი. ძალების შეკრება ხომ აუცილებლად საჭიროა ეხლავე!.. ჩვენი აზრით, ისევ დრამატიულმა საზოგადოებამ უნდა იკისროს საქმის წარმოება. ჩვენ ვერასოდეს ვერ შევურიგდებით იმ აზრს, რომ ქართული თეატრი კერძო პირს გადაეცეს საექსპლუატაციოთ, ვინაიდან მაშინ თეატრი კომერციულ დაწესებულებად გახდებოდა. და კერძო ანტრეპრენიორი, მოგების ეშხით გატაცებული, ყურადღებას აღარ მიაქცევდა ხელოვნების ინტერესებს. „ჰიდაობა მეტ ხალხს იზიდავს... მოდი, მეც ჩემ არტისტებს ვაჰიდეო“,—აი, ასე შეხედავს კერძო პირი ამ საქმეს...

რამდენად მავნებელია ასეთი შეხედულება, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს: თეატრი აღარ იქნება თეატრად, და ხალხიც ჩვეულებრივად შეხედავს წარმოდგენას...

**ძველი ნაცნობი.**

# დაბა-სოფელში

**დ. სურამი.** სტუდენტმა გ. თ. ჟორდანიამ 7 აგვისტოს დ. სურამში წაიკითხა ქართულ ენაზე—ლექცია შემდეგ თემაზე: „ხალხური ადათ-ჩვეულებანი და მათი მეცნიერული ფასი“. თემის პირველი—ძრიელ სერიოზული ნაწილი—წაკითხულ იქმნა თავისუფლად და მარტივად—რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო; მეორე ნაწილიც კიდევ უფრო გასაგებად ხალხისთვის. სასიამოვნოა, რომ ასეთ დროს, როცა უმეტესათ არც ესმით ფასი ქართული ენისა;—მან ქართულად წაიკითხა ლექცია და ბევრს ქართველს (მეტადრე სურამელ ქართველებს) დაანახვა და განუმარტა, რომ ქართული ლიტერატურა მდიდარია აგრეთვე საკუთარ ტერმინების სიმრავლითაც და სხ... და რომ ღირს მნიშვნელოვანია და საჭირო ხალხის ადათ-ჩვეულებათა შესწავლა.

დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს „ქართულ ლექციას“ და ამიტომაც დიდი მადლობის ღირსია ეს ახალგაზდა მშრომელი სტუდენტი.

ამდენ ცუდ-უბრალოდ გატარებულ საღამოებით თავ მობეზრებულმა საზოგადოებამ სიამოვნებით გადსდო რამოდენიმე საათი ამ სიმპატიურ საღამოსთვის—სერიოზულ მსჯელობის მოსასმენათ; და ტაშით დააჯილდოვა ახალგაზდა ლექტორი — შეგნებულთა უმეტესობამ.

**ციხა ვარ.**

## კ მ ა რ ა ს ი ც რ უ ე!

(ბ. ბურჯანის წერილილების გამო ახ. „ივერია“ №№ 26, 27, 28 და 29)

„ის საბუთი, ბ. აბზიანიძე, გაბათილებულია, გაუქმებულია, მათი სარგებლობა არავის შეუძლია და სასტიკ პასუხის გებაში იქნება მიცემული ყველა ის კერძო პირი, თუ რედაქცია, რომელიც მითი ისარგებლებს ჩემს წინა ღმდეგო“.

აქ კი ბ. ბურჯანაძის კილო მომაგონებს ისტორიაში ცნობილს დესპოტს,

---

შლიაპა, უკან ტანზე გადაგრეხილი სიფრიფანა გულამოჭრილი კაბა—„დეკოლტე“ და გიმნაზიის გათავების დიპლომი ამშვენებდა; წინდების ქსოვისა და ოჯახის კარ-მიდამოს მოვლის ნაცვლად მხოლოდ ხუნტრუცობა იცოდა...

**თავი მეოთხე.**

ჩვენი დროის ლუარსაბი და დარეჯანი ძაან კმაყოფილებით ცხოვრობენ ხან სოფლად, ხან ქალაქად. დიდი ზრუნვის ხალისია და ხშირად ჩხუბიც კი მოსდით საზოგადო საქმეებზედ...

**თავი მეხუთე.**

არა ერთხელ შეკამათებულან:

— კაცო, დღეს სოვაწ მიკირტუმაანთსა ლოტო იქნება: აქაურები და ყველა დაჩნიკები იქნებიან შეკრებილი... ერთი ოცდა ხუთი მანათი კიდევ უნდა შეესესხო ბაღდუა მიკიტანს, ან ტოიჩასა, თორემ ამაღამაც იმ დღევანდელივით შევრცხვები: ხუთმეტი მანათი წავაგე და ბეჭედიც ზედ მივაყოლე, სირცხვილის ალმური გადამკრა...

— კიდევ ლოტო!.. მე კი ბანქო მირჩევნია... ცხრა და ან პრეფერანსი?—შენს ლოტოს ცხრაჯერ მირჩევნია..

— შენ რა გაგეგება, რომელი თამაშობა სჯობია?

— მაშ შენ ლოტოზე სდგეხარ?

— ვსდგევარ.

— შენ არა გქონია, რომ ბანქოს ამჯობინებ.

— გესმის კი ბანქოს ლაზათი?

— აბა შენ რა გელაპარაკო, როდესაც კაცების ჰიდაობას ქალების ჰიდაობას ამჯობინებ?

— ახლა მაგაზე ამიხირდები: ქალების ჰიდაობა მეთქი... ვაჰ, ი დასხვილებულ ქალების თეძოების დანახვა, მოსტზე დგომა და მოგვერდი... იცი რა ხელოვნებაა!..

— აბა, რასა ჰქვიან ხელოვნება?

— აბა, შენა სთქვი რა არის ხელოვნება?

— აბა შენა სთქვი!..

აუხირდენ ერთმანეთს ბედნიერი ნეფე-დედოფალი, მაგრამ ვერც ერთმა ვერ ახსნა ხელოვნების მნიშვნელობა, ვინაიდან კაი ხანია რაც ხელოვნების შესახებ რაღაც წაეკითხათ სახელმძღვანელოებში...

— ხელოვნება?!—წარმოსთქვა გატრიზებით დარეჯანმა,—იმის არ იყოს, მდივანოვის კალენდარი სჯობია ჩარკვიან-„სორაპნის“ კალენდარსაო.

— მდივანოვისა მეთქი.

— ჩარკვიანი, ჩარკვიანი... ყეყეჩო...

თავადმა ვერც აქ მოუგო და გაბრაზებით შესძახა:

— ადამიანო ბანქო მეთქი...

ლოტო მეთქი... ლოტო.

ცოტა ხანს გაიბუტნენ, მაგრამ ისევ მალე შერიგდენ.

**უსუფ-უმუთ ოღლი**

(გაგრძელება იქნება)

## ალი მაჰმედ-შაჰის გოდება.

მართალი უთქვამს ვინცა სთქვა:
თუ რომ ქვეყანა ადგესო,
ვერვინ დაუხვდეს იმას წინ
ვერავინ გაუმაგრდესო.
მე კი გამიწყრა ალაჰი
არ ვენდე ამა მცნებასა,
დავემორჩილე ემირ-ჯენგს
და ლიახოვის ნებასა.
ჯერ ხომ მეჯლიში გავწყვიტე
მსურდა მით ხალხი დამეფრთხო;
ყოველი ურჩი „კანონის“
ჩემ ბრძანების ქვეშ განმერთხო.
მაგრამ წამიხდა სურვილი
ვერ ავასრულე რაც მწადდა,
ჩემი ბედი და იღბალი
ივლისის თვეში გადაწყდა.
დავკარგე ტურფა ქვეყანა
სიმდიდრე უთვალავია,
ვინლა დაეძებს ქვეყანას,—
კიდამ დავტოვე ტყავია.
რა უყოთ მე რომ დავკარგე
ძლევა მოსილი დიდება?!
ამბობენ ყველა მტარვალზე
ეგრეთი ჯერი მიდგება.
მართალი უთქვამს ვინცა სთქვა
თუ რომ ქვეყანა ადგესო
ვერვინ დაუხვდეს იმას წინ
ვერავინ გაუმაგრდესო.

**რაჭველი შურდული.**

## ყურ-მოკრული საუბარი.

(ფოსტაში)

**გეურქა.** (რომელსაც ხელში „კონვერტი“ უჭირავს და „ზაკაზნოე“ წერილი უნდა გაგზავნოს).

**მოსამსახურე ქალი.** (გამოართმევს, ასწონს სასწორზე და გეურქას მიუბრუნდება) წერილი ცოტათი მძიმე გახლავთ და ერთი „მარკაც“ დასჭირდება“.

**გეურქა.** არა, შე დალოცვილო, სადაური ჭკუაა? ზედ რომ კიდევ ერთი მარკა დავადო, უფრო დამძიმდება!!.

**გრი—გრი.**

## ჩიტმა შეგვატყობინა.

**გარეთ კახეთი.** ყოველ სიტყვას შხამი ურევია, ყველანი დიდებულად სდუმან.

**ქართლი.** გოლვებმა შეგვაწუხეს... მთავრობის მამასახლისები ისევ ბატონობენ... დაშრა წყლები და ახლა გლეხებს უპირებენ ხელახლად ცრემლების დენას, ეგება იმითი მაინც მოირწყოს გოლვიანი ყანები და ამოვარდნილი სიმინდები...

**გურია.** განა როდისმე გლეხთა მოძრაობა და ერთობა იყო?!!

**რაჭა.** აქაურმა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ შემოწირულება და ხელის მოწერა გამართა. გთხოვთ თითო ოროლა მისხალი მიწა შემოგვაწვიონ...

**ს. ხაშმი.** აქაურ ახალგაზდობას პირის კლიტეები დაუჟანგდათ. გთხოვთ ახალი კლიტეები მოგვაშველოთ, რომ სიტყვა არ წამოგვცდეს, თორემ... სართიჭალამდი დიდი მანძილი არ არის და ხელად 31 ჯამუში გაიქცევა ამბის გასატანად. დიდი ხანია ერთმანეთის ნდობა დავკარგეთ.

## გ ა ს ა რ თ ო ბ ი.

(კითხვა-პასუხი)

თამრო. იცი, „ალიოშა“ ჩვენ მუდამ ერთად დავსეირნობთ და შეიძლება იფიქრონ, რომ ვითომ შენ ჩემი ქმარი იყო!.

ალიოშა. მერე შენ რა? და მხოლოდ ვითომ იფიქრონ... ნამდვილად კი...

* *
*

ვართანა. შენ წარმოიდგინე, გევოჯან, როგორ ვიტანჯებოდი, როდესაც ცოლმა მიმატოვა!!

გევუ. ახარ, შენ წარმოიდგინე, როგორ ვიტანჯები... როდესაც ცოლი უკან დამიბრუნდა!.. და...

*
* *

ელო. სისაძაგლეა, სისაძაგლე! ეგრე მოტყუილება გუშინ მე სიყვარულში მეფიცებოდი და დღეს კი თქვენი წერილი შემთხვევით მარუსას ხელში ვნახე.

ოსიკა. ღმერთს გეფიცები, ელოჯან, მე დამნაშავე არა ვარ!.. აბა რას ვიფიქრებდი თუ შენ მარუსას იცნობდი!..

*
* *

ბახშო. მე ჩამოვედი, რომ თქვენი ქალის ხელი გთხოვოთ...

დედა. დიდათ მოხარული ვარ, მაგრამ მოვალე ვარ გითხრათ, რომ ჩვენ ძრიელ ღარიბები და ამასთანავე ჩემს ქალს არავითარი მზითევი არ მოეძებნება?!.

ბახშო. აბა ეგ რა სათქმელია? მე თქვენგან არავითარ მზითევს არა ვთხოულობ... მე თქვენ ქალს ისე წავიყვან ეხლა რაშიც არის...

დედა. ეგ ყოვლად შეუძლებელია, რადგან ის ეხლა „ვანაშია“ საბანაოდ.

## როდის იქნება.

როდის იქნება, გულო ტანჯულო,
ბედნიერება გეღირსებოდეს,
და ულმობელი სევდა-ნაღველი
ტკბილს იმედებზე შეგეცვლებოდეს?
როდის იქნება, სამშობლო მხარე,
გმირთ მეომრებით კვლავ აღსდგებოდეს,
და დატანჯული, გვემული გული
ლაღი ოცნებით იღიმებოდეს?
როდის იქნება ტურფა წალკოტი,
მზისა სხივებით იქარგებოდეს,
და იმ წალკოტში ყვავილს დამჭკნარსა
ნამი ციური ეპკურებოდეს!
როდის იქნება მაშვრალთ ნაღველი
როგორც ყინული ჩამოდნებოდეს,
და ამ ნადნობის მსხვილი ტალღები
შვების ცრემლებად დაიღვრებოდეს!

**ს. ფაშა—ლი.**

## მოწერილი ამბები

**მცხეთა.** ვინაიდან ადგილობრივ მედუქნექბთან ბრძოლით ვერას გახდნენ გლეხები, მასასახლისი, გზირი და სუდია, მედუქნეების მომხრეა, ამიტომ გადასწყვიტეს მთელი სოფელი ვეება სამიკიტნოთ აქციონ. სკოლამ თქვენი ჭირი წაიღო, ბიბლიოთეკამ სული განუტევა, ადგილობრივი ინტელიგენცია არაგვმა წალეკა.

**აჩუ.**

**ახალქალაქი.** ამას წინად გამართული სამი წარმოდგენით ადგილობრივმა საზოგადოებამ ერთი წუთით გამოაღვიძა, მაგრამ მალე გვერდი იბრუნა და ისევ სალათას ძილს მისცა თავი.

**ეე! ონოფრე!**

**ახალსოფელი.** ჩვენმა მამასახლისმა, უკიდურესი ერთგულება გამოიჩინა... თავის ჯიბის სამსახურში: ახალი ხარჯები გასწერა, ვითომდა დარჩენილი ნედოიმ-

ნეროს. კი მარა ისიც უნდა გახსოვდეთ ბ. ბურჯენაძევ, რომ სამედიატორო სასამართლოს განაჩენი ერთ-ერთ საუკეთესო საბუთად ითვლებოდა და ითვლება კიდეც. ხოლო თქვენისთანა ადამიანებთან სინდისის სასამართლოზე ლაპარაკი მართლა რომ წყლის ნაყვაა.

„ვნახოთ რა დასკვნები შეუძლია გამოიყვანოს კომისიამ ჩემს წინააღმდეგო“ განაგრძობს ბურჯენაძე და შემდეგ დირექტივებს აძლევს კომისიას. (ალბათ კომისიაშიც ისეთივე გულუბრყვილო ადამიანები ეგულება ბურჯენაძეს, როგორც მისი მედიატორეები ყოფილან). პირველი მუხლის შესახებ, სადაც ბურჯენაძე ამბობს, რომ არჩევნები (გამგის ადგილზე) მოხდა ფარული კენჭის ყრითო, ვერაფერს ვიტყვი, ხოლო მეორე მუხლში კი, რომელიც თავის-თავათ აბათილებს პირველს, ვერ დავეთანხმები. „არავითარი აგიტაცია ჩემს სსაარებლოთ და ჩემი მოწინააღმდეგის დასამცირებლათ კორპორაციაში არ გამიწევიაო“. აბა ვნახოთ სასამართლოს განაჩენის პირველი მუხლი რას ამბობს: „როდესაც მე-4 სკოლაში გაიხსნა გამგის ადგილი, ვარლამ ბურჯენაძეს მართლა შეცდომაში შეუყვანია ნიკო მესხი იმის შესახებ, რომ ვითომ ნ. აბზიანიძესთან ის შეთანხმებული იყოს და იმისთვის დაეთმოს აბზიანიძეს ეს ადგილი“. განა ეს აგიტაციაზე უფრო სამარცხვინო საქციელი არ არის? ამხანაგის შეცდომაში შეყვანა, მოტყუილება, ძმობა-ერთობის მქადაგებელს ეპატიება განა? „საშკოლო კომისიამ ერთხმად მიილო ჩემი კანდიდატურაო, აბზიანიძის კანდიდატურა კი არც მას, კომისიას, ჰქონია სახეშიო“. სტყუით ბ. ბურჯენაძევ,—კომისიის წევრთა დიდმა უმეტესობამ წინადადება მომცა, როგორც თქვენზე მეტს ნამსახურს, მიმეღო მეოთხე შკოლაში გამგის ადგილი, რომელზედაც, როგორც ზევით მაქვს დასაბუთებული, თქვენ უსამართლოთ იყავით არჩეული თქვენი გაიძვერული მოხერხებით. ამას ვარს ვერ ჰყოფს ვერც ერთი კომისიის წევრი, ვერც ყოფილი თავმჯდომარე კომისიის თავ. სიმონ ლორთქიფანიძე და ვერც ქალების შკოლის გამგე, თამარა მაჰავარიანი. ამას ეძახის ბ. ბურჯენაძე კანდიდატურის ერთხმათ მიღებას. თქვენი კანდიდატურა, ბ. ბურჯენაძევ, ერთხმათ უარჰყო კომისიამ, მაგრამ იგი იძულებული შეიქმნა მიელო თქვენი კანდიდატურა, რადგანაც მე კომისიის წინადადებაზე (გამგის ადგილის შესახებ) უარი განვაცხადე, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, იძულებული ვიყავი უარი მეთქვა. რატომ? იმიტომ რომ ბურჯენაძე მაშინვე იერიქონის საყვირით გამოდგებოდა და დაიწყებდა ყვირილს: „აბზიანიძემ ადგილი წამართვა კომისიაშიო, იგი მოღალატეა, კორპორაციის პრინციპების გამთელავიაო“ და სხვა. მე ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ იგი კიდევ სხვა უფრო საზიზღარ საშვალებასაც მიმართავდა. ამის დასამტკიცებელ საბუთს წერილის ბოლოში მოვიყვან.

ზევით უნდა მეთქვა, რომ ნიკო მესხმა თავმჯდომარის შეკითხვაზე, კორპორაციამ რატომ ბურჯენაძე აირჩია და არა აბზიანიძეო, განაცხადა, რომ აბზიანიძემ ადგილი დაუთმო ბურჯენაძესო. ამ ამბავს, უფრო კი კომისიამ რომ გამგის ადგილი მაძლია, ისე გაებრაზებია ბურჯენაძე, რომ წასულიყო და ერთ კომისიის წევრისთვის (რომელსაც ბურჯენაძე იარაღათ ხმარობდა) ეთქვა: „აბზიანიძის დასათმობი რა მქონდა, მე კორპორაციამ ამირჩიაო“ და სხვა.

„არავითარი დამამტკიცებელი საბუთები, ვითომ მე ყალბი წერილები შემედგინოს, ჩემს მოწინააღმდეგებს არ წარუდგენიათ კომისიაში, გარდა ნიკო მესხის ჭორებისაო“. აი, სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი, რომლის დაფარვას ამაოდ სცდილობს ბ. ბურჯენაძე. ბურჯენაძემ რომ ყალბი წერილები შეთხზა გინცბურგის სახელით მოსკოვში პედაგოგიურ კურსებზე ყოფნის დროს, ამის დამამტკიცებელ საბუთად მე წარვადგინე კომისიაში თვით გინცბურგის წერილი, რომლის სინამდვილე ვერ უარჰყო სამედიატორო სასამართლოს წინაშე თვით ბურჯენაძემ და განაცხადა, რომ წერილი ნამდვილათ გინცბურგის ხელით არის დაჯერილიო. და რომლის პირს რედაქციაში ვგზავნი. ვთქვათ, ბ. ბურჯენაძევ, რომ ჩვენ შორის არავითარ სასამართლოს არ ქონია ადგილი, ნიკო მესხმა ჭორები მოგიგონა, მაგრამ იმას ხომ ვერ ჰყოფთ უარს, რომ თქვენ როგორც მოსკოვში, ისე ქუთაისში გაავრცელეთ ხმები იმის შესახეს, რომ ვითომ მოსკოვში ყოფნის დროს თქვენზე „დანოსი“ მოვიდა. ეს ამბავი გაცნობათ თქვენ გინცბურგმა წერილით. წერილი მართლა მიგიღიათ ქალაქის ფოსტით ნაკაშიძის ქალის და ნიკო მესხის თანადასწრებით, მეორე დღეს წერილი ამოგიღიათ და მისი შინაარსი გითქვამთ ირაკლი მიქაძის (სამეურნეო სკოლის მასწავლებელია ქუთაისში) და ზოგიერთ ბათუმის სკოლის მასწავლებელთათვის, ხოლო თვით წერილის ჩვენებაზე, ნიკო მესხისათვის უარი გითქვამთ. (ალბათ ბურჯენაძეს ეშინოდა მესხი ჩემს ხელს იცნობსო) ყველა ამას უარს ვერ ჰყოფთ, იმიტომ, რომ ამის მოწმებია ყველა წევრები ჩვენის კორპორაციისა, ვინაიდგან ყველა ეს თქვენ აღიარეთ 28 მაისს 1908 წ. მომხდარ კრებაზე. (იხილეთ ჩემი წერილი „წყინარიძის ფსევდონიმით“. საქართველო № 10). ამასვე დ ამოწმებენ კომისიის ზოგიერთი წევრები, განსაკუთრებით კი გიორგი ქორქაშვილი, სამეურნეო სკოლის მასწავლებელი ირაკლი მიქაძე და სხვები.

(შემდეგი იქნება)

**ნიკო აბზიანიძე**

## ლ. ნაცვლიშვილის წერილის გამო.

წავიკითხე, ბ-ნო ბზვანელო, თქვენი „ბაქი-ბუქი“, რაზედაც მოკლეთ გიპასუხებთ შემდეგს:

1. კორპორაციის ისტორია თქვენთვის ზღაპარი იყო, არის და იქნება,—ეს სრული ჭეშმარიტებაა და კარგი ქენით, რომ თქვენვე აღიარეთ.

2. ყველა თქვენი გასივებული, ჭორებზე აგებული ბრალდებები, უკვე დარღვეულია ჩემს წერილებში და უფრო დაირღვევოდა მოწინააღმდეგეთა საზიანოდ, რომ სასამართლოს არ გაქცეოდა თქვენი „კლიენტი“.

3. სასამართლოს ხასიათი სავსებით გამორკვეულია ჩემს პირველ წერილში (ივ. № 26), ხელმეორეთ ამ საგანზედ წერა ზედ მეტად მიმაჩნია. მისი უარისყოფის უფლება მე მით უმეტეს მქონდა როცა თვით მოსამართლეებმა უარჰყვეს იგი.

4. პარტიულ ნიადაგს, დაგეთანხმებით, სრულიად ადგილი არა აქვს ჩვენს საქმეში, ვინაიდგან, სამწუხაროთ და სავალალოთ, ჩემი მოწინააღმდეგეები ეკუთვნიან იმ „პარტიას“, რომელსაც კორპორაცია კი არა, ქალაქის თვითმართველობაც კი უნდა მოსპოს და თვითონ ჩაიგდოს ხელში მართვა-გამგეობის სადავე: ნოვოსპასკის „სტავლენნიკი“, „სტამფილოძეების აგენტი—მარჯვენა ხელი, ვოსტორგოვის ხელებზე მლოშნელების „სულიკო“ და სხვა..

5. თქვენს „კლიენტს“ ერჩია არ აჰყოლოდა წაქეზებას, არ გამხდარიყო ბრმა იარაღად დირ—ციის აგენტების ხელში. მას დათვის მეგობრობა გაუწიეთ თქვენი პოლემიკით, თუ ხვდება, აწი უფრო მეტს გაუწევთ ჯერის დათმობის თქვენი კლიენტი დაამტკიცებს თავის დახურდავებას გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ჩემს წერილებში იყო აღნიშნული და მაშინ მარჯვეთ გამოკარით ჰინჰში თქვენი ლათინური ანდაზა, რომ ბუზები არ დაეხვიოს... ჩვენი პოლემიკა თუ მკვდრებს გააცოცხლებს, მოხარული ვიქნები..

მე ყველა ჩემს მოქმედებაში პასუხს ვაგებ იმ პირთა წინაშე, რომელთაც ესმისთ თუ რა არის კორპორაცია.

**ვარლ. ოზჩელი.**

## ბიბლიოგრაფია

### ორმეოცეთა სებასტიელთა წამები

(№ 25, X საუკ.)

სებასტიელ 40 მოწამის ცხოვრება შენახულია ტყავზედ დაწერილ დიდს კრებულში (50 ნახევ. გირ. წონით).

ქრისტიანობა სახელმწიფო სჯულად არ იყო გამოცხადებული, იგი ჯერ ეფინებოდა მსოფლიოს. ლუკიანე (?) მეფის დროს მძვინვარედ სდევნიდნენ ყველას, ვინც ძველ სარწმუნოებას—კერპთაყვანისმცემლობას სცვლიდა ახალზე – ქრისტიანობაზე. სებასტიის დუქსმა ბრძანება გასცა ყველას ეზორვა კერპ ღმერთებისთვის. ყველამ მბრძანებლის ნება აასრულა, 40-მა ქრისტიანმა კი ურჩობა გამოუცხადა. მათი მოთავეთაგანი იყო კირიონი. იგინი ზიზღით ამბობდენ:

„სამნი არიან, რომელნი გუბრძვანან ჩუენ, ეშმაკი, დუქსი და მსაჯული“.

მსაჯულს ერქვა აგრიკოლა. ემუქრებოდა 40 შეპყრობილს ყოველგვარ ტანჯვას, თუ არ გადუდგებოდენ ქრისტეს. ერთმა 40-თაგანმა დასცინა მას:

„მსგავსად სახისა მაგის შენისა დაგედვა სახელი შენი „აგრიკოლა“, რამეთუ უდაბნოდ განქცეულხარ სიცბილით“.

ზამთარი იყო სასტიკი, ყინვა უზომო. გააშიშვლეს 40-ნივე და ტბაში ჩააყენეს. დაეზრათ ხელ-ფეხი, ტანი, იგინი კი მტკიცედ ადგნენ თავიანთ აზრს. გალობდნენ; ღმერთს ადიდებდნენ, იცოდნენრა, რომ „მართალთათვის სოფელი ესე ჯუარცუმულ არს“

ღამე იყო. ბნელოდა. შუაღამს ცა განათლდა. მზე გამოჩნდა. მისი ტფილი სხივები ტბაში ჩაეშო, ყოფნა სანეტაროდ გაატფო.

მოწმენი ხელ-აპყრობით ლოცულობდნენ. მაღლა მზის სხივში 40 გვირგვინი გამოჩნდა.

მტარვალთაგანი აივსნენ სიბრაზით გამოაყვანინეს ტბის პირად და დახოცეს. მათი გვამები ურემზე დაუდეს და წყალში გადაყარეს, გარდა ერთისა. მასში ისევ სული იდგა, მას ისევ დედა ეტრფოდა. აგერ მისგანაც სული გაფრინდა ცად მიმართ. აიკიდა ლეში დედამ და ურემს გამოუდგა. დაეწია და თვისი შვილის გვამიც მასზე დაუდო, რომ საუკუნოს ერთობა საიქიოსაც გაჰყოლოდა თვის ამხანაგებთან ერთად.

**მ. ჯ.**

რედაქტორ-გამომცემელი
**კ. ხერხეულიძე**

კებიათ, ან სხვა სპორჩიკებს შეუჭამნიათო. ეხლა 20—25 მანეთები მოითხოვა, არა ერთხელ გაშურეს—ეგ აკი გადახდილი გვაქვს, ზოგიც კიდევ მანიფესტით გვეპატივა მაგრამ „მამა პეტრე“ თავისას შვრება. გარდა ამისა, თელ ჩვენ სოფელზე, 160 კომლზე სახელმწიფო—სულ რაღაც ას-ნახევარი თუმანია, თუ ცოტა მეტი შეწერილი და აქ კი იშვიათია კომლი რომ 10—15 მანეთი ჰქონდეს შეწერილი, 25 მ., 30 მან. და ექვსი-შვიდი თუმნები ხომ ბევრს აწერია. სად მიდის ამოდენა ფული—ალახმა უწყის. თუ ვინმემ ხმა ამოიღო და სისწორე მოითხოვა—მამა პეტრე დასჭყივლებს, შენ, ეი, რა ენა დაგიგრძელებია, გაჩუმდი თორემ... ხომ იცი ვირის აბანოში გაბანავეფო, არიან ერთ ვაი-ვაგლახში. **ზიპო.**

**რაჭა.** ცნობილი მემამულეს ას. ერ—ვს საიქიოდან წერილი მოუწერია: აქ არც ღვინსს სმა სცოდნიათ, არც არშიყობა და არც კურდღელზე ნავარდობას. ამიტომაც გთხოვთ ისევ მანდ წამიყვანოთ. ამის შესახებ დაჰკითხებიან მის შვილს და მას უთქვამს. გიჟია ოხერი? როგორც იქნა რის ვაი-ვაგლახით თავიდან მოვიშორე და ეხლა რაღა ესაქმება რომ მოდისო **რაჭველი შურდული.**

**თელავი.** გასულ კვირას, წარმოადგინეს „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. კარგები იყვნენ: ა. იმედაშვილი, ვერლამიძე, იბაშიძე და ჟივიძე. სამნახევარი კაცი დაესწრო... არ ვიცი რა მოსაზრებით, პიესას უკანასკნელი მოქმედება მოაჭრეს... ამბობენ: შემდეგ რომ „და-ძმა“-ს ითამაშებენ, იმ ერთ მოქმედებას ვოდევილათ მოადგამენო... ღმერთმა ხელი მოუმართოთ! **პამიდორი.**

**ხონი.** შაბათს, გვარაძის მონაწილეწარმოდგენილი იყო „ვაის გავეყარე და უის შევეყარე“. მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთი მომქმედი პირი კულისებში ლაპარაკობდენ, მაინც ხალხი სიცილით კიდამ კუჭზე დასკდენ... ღმერთმანი... **ბატი.**

**„დუმა“.** შემოდგომაზე გამოცხადდება ამნისტია ყველა იმ მექრთამე მოხელეებისა, რომელთაც რუსეთის ხალხის ფულები გაფლანგეს ანუ მიითვისეს და რაღაცა შეცდომით დაისაჯნენ—კანონისაგან. **ბალინჯო.**

**„იუჟანე“-ს საყუდელი.** ამ უკანასკნელ დროს დიდ-ძალი ხალხი ეტანება. შესვლა და პროჟექტორი უფასოა. ღვთის მადლით კვრივი აღარ იმართება... ქართულ თეატრში ჩამოიყვანეს ცხელ-ცხელი მოჭიდავე ქალები, ჯამბაზები, ლილიპუტები და სხვა. ამბობენ, შემდეგ სეზონს ნიკიტინის ცირკი იღებსო... გაიხარეთ კაცუნებო. **მოხარშული ვარია.**

ლ—ს.

ცხოვრების ტალღას მარად ვებრძოდი
ვერ დამიმონა სიმუხთლემ ბედის;
მკერდი ვუჩვენე უსამართლობას
დროშა აღვმართე წინამორბედის...
მაგრამ დადუმდა მტკიცე მარჯვენა
დადუმდა ენა მჭევრად მეტყველი!..
არავინ მყავდა ბრძოლაში მოყმედ
არვინ მაწოდა ძმურადა ხელი!..
ობლად შობილი ობლადვე მოვკვდე
გულის ჩავიკლა ამონაკვესი!..
ყველგან ღალატი და უნდობლობა—
ასე ყოფილა ცხოვრების წესი!..

**პეტრე დადვაძე.**

### გამოცანა

„Юჟანეს ბაღში
ცუდათ ვეთრევი,
„ფიშერს“ და „ნეროს“
ცხვირზე ვეხვევი,
„ვალიკოს“ ვლანძღავ
„კოტეს“ ვემთხვევი,
სხვისი ნიჭი მშურს
კუჭზე ვიხევი.

**გრი—გრი**

### განცხადება

**მსურს** შევირთო ცოლი. იყოს შავგვრიმანი და პაწი ცამეტი წლისა, იცოდეს ჭრაკერვა, სარეცხის დარეცხა, ქვაბების დახეხვა და თუ ღმერთმა ინება და დაორსულდეს შვილების მოვლა. უნდა ჰყავდეს ბლომა ნათესავ-მეზობლები, განსაკუთრებით ქალები (ეს ყოველ შემთხვევისათვის საჭიროა). მე ვარ ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, ასე ორმოცდა ცხრა წლისა ვიქნები.

წიგნების გამყიდავი **ლაყლაყაძე.**

რედ.-გამომც. **ფირუზ წკიპურტაძე**

## ბუხგალტერია

ვისაც სურს გაეცნოს იმას, თუ რა ნაირად ვასწავლი მიწე-მოწერით იტალიანურ ბუხგალტერიას და კომერციულ სხვადასხვა ცოდნას, იმათ გავუგზავნი პროსპექტს და ერთ სანიმუშო ლექციას უფასოდ.

**Я. Ю. Маркъ** ქალაქი **ლიბავა**

**დაიბეჭდა და დაურიგდება ხელის მომწერლებს ახალი**

## ჩანგი

თფილისის ხელის მომწერთ შეუძლიათ მიიღონ 13 აგვისტოს. პროვინციაში კი—20 აგვისტოს. იმ აგენტს ვისაც ფული არა აქვს წარმოდგენილი წიგნები **არ** გაეგზავნება.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ახალი

## ჩანგი

წიგნი დიდი ზომისაა (500 გვერდი). დაკაზმულია ძვირფასი ყდით და ღირს მხოლოდ 1 მ. 30 კ. წიგნში მოთავსებულია სცენები, ლექსები, სასიმღეროდ საოხუნჯო კუპლეტები, დრამატიული თხზულებანი და სხ. ჩვენი საუკეთესო ძველ და ახალგაზდა მწერლებისა. წიგნს ჩართული აქვს ქართველ მწერლების და მსახიობების 60 სურათი. წიგნით მოვაჭრეებს °/₀°/₀ დაეთმობათ. ვინც ფოსტით გამოიწერს და 1 მან. 30 კაპ. ფულათ ან მარკას გამოგზავნის მას გასაგზავნი ფული აღარ გადახდება.

**ადრესი:** Тифлисъ. т-во Сорапань. М. Гачечиладзе.

GRAND PRIX

1870 წ. პარიზი 1900 წ. 1882 წ.

1865 წ. 1896 წ.

დედამიწაზე საუკეთესო

# გალოშები

სამ კუთხედით

1860. Т.Р.А.Р.М. С.ПЕТЕРБУРГЪ.

რუსეთ-ამერიკის რეზინის-მანუფაქტურის ამხანაგობა

ამ ფირმით „ТРЕУГОЛЬНИКЪ“

ს.-პეტერბურგში

სრული პასუხის-მგებლობა საქონლის სიკარგისა.

იყიდება ყველგან

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული № 1. ტელეფონი № 539.